საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №62
2026 წლის 17 აპრილი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2013, 140130000.22.034.016246) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული წესის 80^1 მუხლის:

ა) **პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს**;

ბ) **მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„7. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის მოსამსახურეს მიენიჭება საშუალო სპეციალური წოდება – „პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი“.

8. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე სპეციალური მომზადების კურსის წარმატებით გავლა წარმოადგენს სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის მოსამსახურისათვის ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების ტარების და გამოყენების უფლების მინიჭების საფუძველს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი **გელა გელაძე**